# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 14 (4573) ● 21 ნოემბერი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

ნომრის სტუმარია გორის მე-7 საჯარო სკოლა

## პედაგოგებით ძლიერი – რეგიონში ლიდერი





**ზოგჯერ** გვესმის საყვედური: დედაქალაქის გარეთ ყურადღებას არ გვაქცევთო. ამას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ სამართლიან შენიშვნას ვიზიარებთ. ამჯერად საამაყო ტრადიციების **გორის სახელოვან მე-7 საჯარო სკოლაზე** მოგითხრობთ.

ცოდნაზე და ხარისხიან განათლებაზეა ორიენტირებული გორის მე-7 საჯარო სკოლა, რომელიც ლიდერიც არის და გამორჩეულიც. ეს არის სკოლა, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის.

სასწავლო დაწესებულების მიღწევები არამარტო პედაგოგების, არამედ კარგი ხელმძღვანელის უდიდესი დამსახურებაა. გორის მე-7 სკოლის დირექტორი გახლავთ **ნოდარ იარლანაშვილი,** რომელიც დიდი პასუხიმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომაც არის, რომ სკოლა მაღალ შეგედებზეა ორიენტირებული და პოპულარობასაც ინარჩუნებს. დირექტორს მხარში უდგას მოადგილე **მზია ბერუაშვილი,** რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო ბერიძესთან** ერთად, ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობს. სკოლის ინფრაქტრუქტურა მოწესრიგებულია. პირველ კორპუსში სწავლობენ დაწყებითი საფეხურის, ხოლო მეორე კორპუსში – საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. ამჟამად, სკოლაში სულ 1006 მოსწავლეა, 82 თანამშრომელი. მათ შორის 67 პედაგოგია, 44 მასწავლებელი სერთიფიცირებულია.



თანამედროვე რეალობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე, სკოლის წარმატება წარმოუდგენელია, ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა სკოლების ამ ტექნიკით უზრუნველყოფას. მე-7 საჯარო სკოლას აქვს ორი კომპიუტერული ლაბორატორია (28 კომპიუტერით), რომელიც მოწესრიგებულია, უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ინტერნეტით და გათბობის სისტემით. სასწავლებელს აქვს გარემონტებული და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია რესურს ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ემსახურება კვალიფიციური სპეც მასწავლებელი, რომლის მუშაობას კარგი შედეგები აქვს. სკოლაში 5 პირველი კლასია, სადაც 119 მოსწავლეა. ასევე,ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.






საგულისხმოა, რომ სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, პედაგოგების პროფესიული განვითარებისათვის, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვისათვის, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და **ბიბლიოთეკის** ფონდის გამდიდრებისათვის. დირექტორის გადაწყვეტილებით, სკოლაში მოქმედებს წახალისების სისტემა. სხვადასხვა კონკურსებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და მათი პედაგოგები ჯილდოვდებიან.

მე-7 საჯარო სკოლაში მუშაობს 9 საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურისა (ხელმძღვანელი **ლია ოქროპირიძე**), საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა – ხელმძღვანელი **ნანი ოთინაშვილი,** მათემატიკისა – ხელმძღვანელი **მარინა რიჟამაძე,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა – ხელმძღვანელი **თეა მურაჩაშვილი,** ინგლისური ენისა – ხელმძღვანელი **ეკატერინე ხანგალიანი,**

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

## ნომრის სტუმარია გორის მე-7 საჯარო სკოლა

პირველი გვერდიდან

რუსული ენის კათედრა – ხელმძღვანელი **ვასილ იკონნიკოვი,** ესთეტიკური აღზრდის კათედრა – ხელმძღვანელი **ნინო ვათიაშვილი,** სპორტის კათედრა – ხელმძღვანელი **ოლეგ გორბუნოვ,** დაწყებითი კლასების კათედრა – ხელმძღვანელი **ირმა ძიძიგური.**

**ნოდარ იარღანაშვილი,** დირექტორი: სკოლა მომზადებული შეხვდა ახალი 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებას, მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან სახელმძღვანელოებით, ხოლო პირველი კლასის მოსწავლეები - პორტატული




კომპიუტერებით. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის.

აღსანიშნავია, რომ გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო სკოლითვის, რადგან ჰყავდა 6 ოქროს მედალოსანი, ესენია; **რატი ხუციშვილი, მაგდა ხუციშვილი, ლიკა ხუციშვილი, ნინო გაბინაშვილი, შალვა ტურაშვილი, ცისია შატაკიშვილი.** ორმა მათგანმა კი, **ნინო გაბინაშვილმა** და **ცისია შატაკიშვილმა** წარმატებით ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებლებში და 100 პროცენტიანი გრანტი მოიპოვეს.



სკოლა უსაფრთხოა და დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. განსაკუთრებული ზრუნვის საგანია სპორტულ აქტივობები.

მოსწავლეები ხალისით არიან ჩაბმულები სპორტულ ცხოვრებაში. აღწევენ წარმატებებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში როგორც ინდივიდუალურად, ასევე – გუნდურად. შარშან სკოლის გუნდი გახდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მინი ფეხბურთში გორის პირველობაზე დაიკავა პირველი ადგილი. ფრენბურთში კი, გოგონათა და ვაჟთა შორის გორის პირველობაზე - პირველი ადგილი, სკოლბურთში გორის პირველობაზე - მეორე ადგილი.

მე-7 სკოლის გუნდი არის სასკოლო შემოქმედებითი ოლიმპიადის გამარჯვებული. სკოლა დაჯილდოვდა 500 ლარიანი ვაუჩერით, გასულ სასწავლო წელს დაკავებული მეორე ადგილისათვის მოიპოვა 200 ლარიანი ვაუჩერი. აღნიშნული თანხით შევიძინეთ მუსიკალური აპარატურა. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ საგრანტო კონკურსებში და ხშირ შემთხვევაში აღწევენ წარმატებებს, ჯილდოების ნადავლს იმკიან.

გორის მე-7 სკოლის პროფესიონალი პედაგოგები ნამდვილად იმსახურებენ შექებას და დაფასებას. ასეთი მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი მასწავლებლების დამსახურებაა ის, რომ სკოლა ხარისხიან განათლებასა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. ძლიერი პედაგოგების ხელში მოზარდები საფუძვლიან ცოდნას ღებულობენ. სკოლის დირექცია მოწოდებულია იმისათვის, რომ აღზარდოს ჯანსაღი და განათლებული მომავალი თაობა, ჩაუნერგოს მათ სამშობლოსა და ქვეყნის სიყვარული. ასეთი ახალგაზრდები კი, არამარტო გორს, არამედ მთელს საქართველოს ასახელებენ. მალე ახალი წელი დადგება. **წინასწარ გილოცავთ მას და თქვენი შრომის უფრო მეტად დაფასებას გისურვებთ, რაზეც განათლების ახალი მინისტრი სერიოზულად ფიქრობს.**

**მზია გოგოძე**

---

საქმემან შენმან...

# „მოსწავლე“ დირექტორი და მისი გამორჩეული სკოლა



**ლათინური** ანდაზა გვარწმუნებს, გამეორება ცოდნის დედააო. მცირე პერიფრაზით, თუ მავან თემას, დაწესებულებას, უწყებას მიუბრუნდი, საამისოდ გვარიანი მიზეზი უნდა გქონდეს. ან – კარგი ან – ცუდი.

თბილისის 86-ე საჯარო სკოლაში ხელმეორე სტუმრობის მიზეზი სულ ერთი სიტყვით მარტივად გამოითქმება – **პროგრესი.**

სათქმელად ადვილია, გასაკეთებლადაა ძნელი, მაგრამ სკოლის შემოქმედებითი კოლექტივი ყოველ ახალ სასწავლო წელს ახერხებს სიახლეების დანერგვას, ხოლო გაკვალულში ეძიებს და ჰპოვებს იმ გზებსა და საშუალებებს, რაც მეტად ხვეწს, მოსწავლეთათვის უფრო ადვილად აღსაქელად აქცევს გამოცდილს. დრომოჭმული არაფერია – პედაგოგებს ძალუძთ ისე მოარგონ განვლილი და განცდილი სასწავლო პროცესს, ისე მიიტანონ აღსაზრდელებამდე, რომ სიახლის განცდა არ განელდეს. სიახლეების დანერგვასთან ერთად, სწორედ ეს განაპირობებს წინსვლას – **პროგრესს.** ამაშია ჩაქსოვილი მთელი კოლექტივის შემოქმედება. ასე მიიღწევა დიდი მისია – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივ-მორალურად მდგრადი თაობების აღზრდა.

ყურები გამოგვიჭედეს რეფორმა-რეფორმის ძახილით. რეფორმა ფრანგული სიტყვაა და სიახლეს ნიშნავს, მაგრამ, განა, სიახლე მაინცდამაინც უკეთესს განაპირობებს? მიმოვიხედოთ!

86-ე სკოლაში კი სიახლე სწორედ რომ უკეთესის სინონიმია.

დაკონკრეტებამდე მცირე წიაღსვლა: სკოლა გამორჩეული იყო და არის. ამის დასტური მოსწავლეთა წარმატებებია სწავლაში, სხვადასხვა კონკურს-ოლიმპიადაში და ისიც, რომ თბილისისა და რეგიონების 5 საპოლოტე და 10 ქსელის სკოლიდან 86-ე სკოლაც შეირჩა ქართულ-ესტონური საგანმანათლებლო პროექტის – **„ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერება საქართველოს ბავშვებისათვის“** – განსახორციელებლად. პროექტში, ახლაც რომ წარმატებით სრულდება.

ცხადია, ასე საგულდაგულოდ მხოლოდ მოწინავე სკოლებს შეარჩევდნენ.

ერთში წარმატებამ – მეორე განაპირობა: პროექტ „მხიარული გაკვეთილების“ განსახორციელებლად შერჩეულ სკოლებს შორის ერთ-ერთი კვლავ 86-ეა.

რას ნიშნავს „მხიარული გაკვეთილები?“ – ხალისიანად, თამაშ-თამაშ აზიარებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესებს. სწორი კვება, პირადი და ზოგადი ჰიგიენა. აი, ასეთი გაკვეთილების არსი. გონებრივი იერიშები – ბავშვები ცდილობენ დამოუკიდებლად გადაჭრან ესა თუ ის თემატური საკითხი; როლური თამაშები – ვინ ესა თუ ის ხილი, ბოსტნეულია. ასე მათ თვისებებსაც სწავლობენ და თან როგორ ხალისობენ! ამას ვარჯიშები, ჰიგიენის საკითხებიც ერთვის. ამ პროექტის სულისჩამდგმელები დაწყებითი კლასების მასწავლებლები: **ხათუნა სეფიაშვილი, მაია ქარსაულიძე, რუსუდან გიოშვილი** და **ირმა მეტრეველი** არიან.



განათლების პროგრამა ყველა სკოლისთვის საერთოა. ძალზე მნიშვნელოვანია, კეთილსინდისიერად, მაგრამ ტრაფარეტულად მიჰყვები მას თუ შენსას აქსოვ, სიახლეებს ეძიებ. არც პროგრამის მიღმა გადახედვას გიშლის ვინმე, ოღონდ კი ბავშვებს არგოს.

ეს, კი ბატონო, მაგრამ ბევრი ირჯება ასე?

**86-ე სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნანა ქაჯაიამ, 2014 წლიდან რომ უდგას სათავეში ამ სასწავლო დაწესებულებას, აღსაზრდელთა სა-**



**კეთილდღეოდ დირექტორისთვის უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა – თავად გამოსწავლდა:** საზოგადოებრივ კოლეჯ **„მერმისის“** სტუდენტი გახდა, მემინანქრეობა შეისწავლა და ისეთ ნაკეთობებს ამზადებს, ავ თვალს არ ენახვება. ჯერ თავად შეისწავლა, მერე კი კოლეჯთან ხელშეკრულება გაფორმდა, მემინანქრეობისთვის საჭირო ხელსაწყო-მასალები შეიძინეს და 86-ე სკოლელები ამ უნიკალურ სპეციალობას ეუფლებიან. ხომ ამოძირკვეს სკოლებიდან ხელგარჯილობისა თუ შრომის გაკვეთილები? კომპიუტერი და მისი ჯანიო! **86-ე სკოლის კურსდამთავრებულებს კი, დირექტორის ასეთი ზრუნვით, სურვილისამებრ, პროფესია ექნებათ!**

მოსწავლეები ეცნობიან მემინანქრის პროფესიის თავისებურებებს; სწავლის, დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობებს; შრომის უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს; გამოყენებულ მასალებსა და იარაღებს; სწავლობენ სამუშაო ადგილის ორგანიზებას; გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტების ესკიზების ხატვას; ძირითადი, შედგენილი და კონტრასტული ფერების შერჩევას ესკიზებისთვის; ტიხრების მეშვეობით, ლითონის ზედაპირზე ესკიზების გადატანას; მინანქრის ფერებით ტიხრის უჯრედების შევსებას; ნამუშევრებისთვის საბოლოო სახის მიცემას.

ეძიებდე და ჰპოვებდეო, ვთქვით. ჰოდა, ქართული ტრადიციების კვალდაკვალ ეძია და ჰპოვა ქალბატონმა ნინომ ამ ძნელბედობის ჟამს ყმაწვილების დაკვალიანების, მათი პროფესიული ორიენტაციის, სკოლისშემდგომი უზრუნველყოფის ასეთი ქმედითი საშუალება!

არც ამას დასჯერდა: მოწოდებით პედაგოგმა სასერთიფიკატო გამოცდა ჩააბარა მათემატიკაში და ახლა ამ საგნის მასწავლებელიცაა. ასე, რომ იგი „კაპიტნის ხიდურიდან“ კი არ ხელმძღვანელობს სკოლას, არამედ მუშაობის ყველა ნიუანსშია ჩახედული და უშუალო მონაწილეც გახლავთ.

საქმესთან, აღსაზრდელებთან ასეთი მიდგომის ერთი ლოგიკური შედეგი მოსწავლეთა სრული ჩართულობაა სკოლის ცხოვრებაში: სამოქალაქო განათლებისა და ლიტერატურის კლუბების –**„ნიკესა“** და **„ლირას“** დაარსება სწორედ მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივა იყო. ესეც ცოტააო და მათივე ინიციატივით ამოქმედდა კიდევ ორი კლუბი **„ცასწავალა“** და **„თანადგომა“.** ღირს კი დაკონკრეტება, რაოდენ გაუფართოებს ამ კლუბებში მუშაობა ყმაწვილებს თვალსაწიერს, განუვითარებს თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, დააახლოებს ურთიერთთან და კოლექტიურად შრომას ასწავლის? სპორტიც პატივშია: თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი X-კლასელი **გიორგი ქვარიანი** რამდენიმე შიდა და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

ცხადია, სკოლაში გამართულად, მიზანმიმართულად, შეთანხმებულად მუშაობს 7-ვე საგნობრივი კათედრა;

ცხადია, მთლიანად სრულდება ეროვნული სასწავლო გეგმა. სხვაგვარად რატომღა გამოარჩევდნენ 86-ე სკოლას და ესოდენ პასუხსაგებ და საპატიო პროგრამებში ჩართავდნენ (ყოველივე ამას ავარიულ შენობაში ახერხებენ), მაგრამ ამ მცირე წერილში მიზნად სკოლის თავისთავადობის, განსხვავებულობის შეძლებისდაგვარად წარმოჩენა დავისახეთ.



**კოტე სარალიძე**

კოლეჯ „იკაროსის“ ლაღად გაშლილი ფრთები

# დაიჯერეთ: სწავლება კვირაში შვიდივე დღეა 9-დან – 23 საათამდე!



**გჯერათ** სათაურად გამოტანილის? მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოში – უმძიმესი ეკონომიკურ-სოციალური ვითარების გათვალისწინებით – არის სასწავლებელი, სადაც სტუდენტების ისეთი მიჯარებაა, რომ სწავლება კვირის 7-ვე დღე მიმდინარეობს (რამდენიმე ცვლად) 9-დან – 23 საათამდე.

კი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია და ამას წყალი არ გაუვა. სპეციალობები მომგებიანია, მოთხოვნადი, მაგრამ სწორედ შენი კადრი რომ მოითხოვონ, ამას რამდენი შრომა, ბაზრის სწორი ხედვა, პარტნიორების გამონახვა და კიდევ სხვა ბევრი რამ სჭირდება.

კოლეჯის 82-ვე პედაგოგის, რომელთა 75 % წამყვანი სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯერი და შეფმზარეულია, დირექციის ძალისხმევა სწორედ პროფესიონალთა მომზადებისა და მათი დასაქმებისკენაა მიმართული. დასტური? **თითქმის დაუჯერებელი – დასაქმების პროცენტი 85-ია!** არადა, გრძელვადიანი, სადიპლომო პროგრამით (7-14 თვე) – 800, ხოლო მოკლევადიანზე 500-მდე სტუდენტი ჰყავთ. აი, ჯამში სწორედ ამ რაოდენობის მზარეულთა, კონდიტერთა, სარესტორნო საქმის მწარმოებელთა, ბარმენთა, სომელიეთა, ტუროპერატორთა, გიდთა, მიმღებ-რეცეფციონისტთა, ბართენდერთა, მიღება-განთავსების სპეციალისტთა, კონსულტანტ-გამყიდველთა 85 პროცენტი საქმდება.



განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი. მისი წევრები ესწრებიან ლექციებს და განიხილავენ მათს ხარისხიანობას. ესწრებიან მოდულურ პროგრამებსაც, ივსება დაკვირვების ფურცლები, აანალიზებენ სწავლების ხარისხს.

კოლეჯის განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში დაწურულად, ამავდროულად, ამომწურავადაა დასახული სასწავლებლის წინსვლის გზები და საშუალებები, ზუსტადაა გათვლილი როდის – რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რათა ისედაც ლამის დაუჯერებლად წარმატებული კოლეჯი კიდევ უფრო დაუჯერებლად წარმატებული გახდეს.

ფაქტები? ინებეთ: **შარშან სასწავლებელი წლის საუკეთესო კოლეჯი გახდა. წლის საუკეთესო პროფესიული პედაგოგის წოდება კი „იკაროსის“ შეფმზარეულმა, წარმოშობით ბასკმა მანუელ ფაუნდეს ბარანდამ მოიპოვა; შარშან და წლეულს სლოვაკეთში გამართულ „ევროპა – 2017-სა“ და „ევროპა – 2018-ის“ კონკურსებში ნომინაციებში: მზარეული და სარესტორნო საქმე კოლეჯი პირველი იყო, ხოლო საუკეთესო ბარმენის ნომინაციაში – მეორე. წლეულს კრაკოვში გამართულ კონკურსში კი მომსახურების სფეროსა და მზარეულობაში მეორე იყო; სერვირებაში კი გაიმარჯვა.**

ცხადია, დაინტერესდნენ ასეთი წარმატებებით და „ქართული დღეები“ გამართეს სლოვაკეთში, რასაც ჩვენი საკონსულოს წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ბრატისლავისა და პერშოუს შესაბამისი პროფილების სასწავლებლების სტუდენტ-მასწავლებლებს გაუმასპინძლდნენ ჩვენებური კერძებით და ისე აღაფრთოვანეს მასპინძლები, რომ იქაურთა 18-კაციანი დელეგაცია ესტუმრათ გამოცდილების გასაზიარებლად, ქართული კერძების დამზადების შესასწავლად.



**გამოიკვეთა: „იკაროსი“ იმდენად ხარისხიან სპეციალისტებს ამზადებს, რომ ისინი საერთაშორისო ასპარეზზეც დამაჯერებლად იმარჯვებენ. ეს კი თავისთავად იწვევს დამსაქმებელთა დაინტერესებას – ყველა სჭირდება მცოდნე და ზნეკეთილი, პატიოსანი კადრები.** მაგრამ ასე ნუ წარმოვიდგენთ: კოლეჯი სპეციალისტებს ზრდის, ხოლო დამსაქმებლები მის კართან დგანან რიგში.



ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იკაროსელებს შინა და გარე კონტაქტების დასამყარებლად და **ახლა უკვე... 275 პარტნიორი კომპანია ჰყავთ.** ესეც ხომ ძნელი დასაჯერებელია? მაგრამ ფაქტია და არც ამას გაუვა წყალი.

საერთაშორისო ორგანიზაციები:

GIZ, IOM, Syntea, PUM, „Georgia for friends“, „Ingrao Tradizione e Innovazione“; Baltic College – FHM Schwerin; პოლონეთის ორგანიზაცია – Syntea, ჰოლანდიის ფონდი PUM – „Pum Netherlands senior expert“-ი; ჰოლანდიის ორგანიზაცია Zadkine Hospitality, Tourism and Business Services-ი; გერმანიის ორგანიზაცია Fachhochschule des Mittelstands“-ი; ესპანეთის ჰუმანიტარული ორგანიზაცია „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ (ACF); კიევის ტურიზმისა და სასტუმრო საქმის ტექნიკუმი; ქ. ვალდიმირის ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის უნივერსიტეტი...

ხელშეკრულებები გაფორმდა გერმანიის 20-ზე მეტ 4-და 5 ვარსკვლავიან სასტუმროსთან („იკაროსის“ სტუდენტებმი იქ გადიან სტაჟირებას); გერმანიის სტუმართმასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტთან.

კოლეჯის საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ ერთი დასტური: შარშან „იკაროსს“ ეწვივნენ SES-ის ექსპერტები: **ბერნდ მაუერბერგერი** (კულინარია), **ფრედ შური** (რესტორნის მენეჯმენტი) და პროფესორი **ჰერალდ ვეტცელი** (ტურიზმი).

კარგია, როცა გარჯა, ამაგი გიფასდება: **„იკაროსს“ მერიამ კვების ობიექტების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა ანდო** (საპილოტე პროექტით, თავად მერიის კვების ობიექტსაც კოლეჯი ემსახურება); **განათლების სამინისტროს დაფინანსებით, სასწავლებელი 40 სკოლის სამზარეულოებისა და საკონდიტროების სერვირებას ახდენს.** ასეთი ნდობის, აღიარების მოპოვებას კი რაოდენი მიზანმიმართული, მუხლჩაუხრელი, გამოწვლილვით აწონ-დაწონილი შრომა სჭირდებოდა, ვგონებ, ცხადზე უცხადესია.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან. უკვე 12-მა პედაგოგმა გაიარა მაშავის კურსები ინკლუზიური სწავლების საჭიროების სტუდენტებისთვის. ასეთი – 80 ჰყავთ. მათ ჟესტური ენის თარჯიმანი (ყრუ-მუნჯებიც არიან) და სამი სპეციალისტი ემსახურება და რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთ კურსდამთავრებულთა უმეტესობა საქმდება. ესეც იკაროსელთა გულისხმიერების დასტურია.



და კიდევ: მერიის დაფინანსებით, 600-მდე სოციალურად დაუცველმა გაიარა მოკლევადიანი კურსები; ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით – 300-მდემ. კოლეჯი იმ რეგიონების სკოლებშიც ჩადის, სადაც მძიმე სოციალური ვითარებაა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ეხმარება. ასწავლის კერძების დამზადებას. ეს ჰუმანიზმიცაა და დიდებული პროფესიული ორიენტაციაც. სასჯელაღსრულების დაწესებულებებსაც არ ივიწყებენ. უკვე 500-მდე ბენეფიციარმა გაიარა მომზადება-გადამზადების კურსები და ვადააღსრულებულნი საქმდებიან კიდეც.

ყოველივე ზემოთქმული კოლეჯის მცოდნე, გამოცდილი, მონდომებული პედკოლექტივის შრომის ლოგიკური შედეგია.

კოლექტივს კი სათავეში ქალბატონი **რუსუდან ჩართლოანი** უდგას. პირველი შთაბეჭდილება – **ადამიანი თავის ადგილზე.** მისი დინჯი, ლაკონური მსჯელობის მიღმა, ახალგაზრდობის მიუხედავად, ცოდნა, გამოცდილება და საქმის დიდი სიყვარული გამოსჭვივის. სხვაგვარად როგორ მიაღწევდა კოლეჯი ასეთ წარმატებებს? ვინ ანდობდა კვების ობიექტების სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვას? როგორ მიაღწევდა საერთაშორისო აღიარებასა და დასაქმების ლამის ზღაპრულ პროცენტს?

ქალბატონმა რუსუდანმა 1996 წელს დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი და 51-ე სკოლასთან არსებულ ვერის უბნის ლიცეუმში დაიწყო მუშაობა მათემატიკის მასწავლებლად. შემდეგ – კერძო სექტორი და კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის მოადგილეობა; 2012 წლიდან „იკაროსის“ დირექტორია. არის მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ელინურ მითში იკაროსმა ვერ მიაღწია საწადელს. კოლეჯი „იკაროსი“ კი თითქმის დაუჯერებელ წარმატებებს აღწევს. ამიტომ მიჭირს განვსაზღვრო, სახელდობრ რაღა ვუსურვო მის პედკოლექტივს, მაგრამ ეს სწორედ იკაროსელებმა უწყიან და აუცილებლად მიაღწევენ საწადელს.



**კონსტანტინე გურგენიძე**

მოწინავეა გორის მე-3 საჯარო სკოლა

# უფრო მაღალი შედეგებისთვის იღვწიან



**ტრადუციულიც** არის და თანამედროვეც, საინტერესო ისტორიის მქონეც და ინოვაციურიც – ეს გორის მე-3 საჯარო სკოლაა, რომელიც ყოველთვის ამაყობს თავისი მიღწევებით და რეგიონის სკოლებს შორის, ერთ-ერთ პირველ პოზიციას ინარჩუნებს.

**მოკლე ისტორიული ექსკურსი**: 1881 წელს, ქალაქის ცენტრში, სამეფოს ქუჩაზე (ახლანდელი ერთობის ქუჩა) გაიხსნა ქალთა გიმნაზია, შემდეგ ვაჟთა სასწავლებელი. ამათ ბაზაზე მოგვიანებით დაარსდა გორის მე-3 საშუალო სკოლა (ამჟამად საჯარო).

სკოლა ყოველთვის ამაყობდა პროფესიონალი პედაგოგებით. აქ მოღვაწეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები, წლის საუკეთესო სტატუსის მქონე პედაგოგები. ამიტომაც, მუდამ იზრდებოდა სკოლის პოპულარობა და სწავლის მსურველთა რიცხვიც ყოველწლიურად მატულობდა.

სკოლას აქვს ორი დახურული სპორტული დარბაზი და ერთი ღია მოედანი, სააქტო დარბაზი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჯეოსელის **„მომავლის კლასი“**, მდიდარი ბიბლიოთეკა, ამჟამად სკოლაში სწავლობს 1300 მოსწავლე.

სკოლის წარმატებები კარგი მენეჯერის და ხელმძღვანელის დამსახურებაც არის. დირექტორი **ვახტანგ სუხიტაშვილი** შესანიშნავად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. იგი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია. დირექტორს მხარში უდგანან მოადგილეები **ნანული ნინოშვილი** და **ინგა ალავერდაშვილი.** სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელია საბაზო საფეხურის მოსწავლის მშობელი – **მადონა ჯირაშვილი.** 24. სკოლის 92 პედაგოგიდან 38 სერთიფიცირებული (უფროსი) მასწავლებელია, ერთი წამყვანი და ერთი 1000 ლარიანი ხელფასის მქონე.

7 საგნობრივი კათედრაა: საზოგადოებრივ მეცნიერებათა – ხელმძღვანელი **ეკატერინე აბუაშვილი,** მათემატიკის **ც.ხარაიშვილი,** ქართული ენისა **ი. მინდიაშვილი,** ესთეტიკური აღზრდისა – **თეა კასრაძე,** საბუნებისმეტყველო **მ. მთვარელიძე,** უცხო ენებისა – **თათია ცაციაშვილი,** სპორტისა – **ქეთევან თოდაძე.**

ნაყოფიერი იყო გასული საწავლო წელი. 14 მოსწავლე ოქროს მედალოსანია, 39-ს გადაეცა ჯილდო – **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** ფარგლებში; ასევე,100% გრანტით სტუდენტები გახდნენ: **სანდრო მიქელაშვილი, გია დარელაშვილი, დიმიტრი ბუზიაშვილი, ნიკა შულღიაშვილი, ლუკა შაკიაშვილი** და **გიორგი ოქროპირიძე.**





შარშან სასწავლო წლის ეროვნულ-სასწავლო ოლიმპიადაში, მონაწილეთაგან გაიმარჯვა 6 მოსწავლემ: **ზ. საგანელიძემ, ი. კიკნაძემ, გ. ლიპარტელიანმა, ნ. ციცაგმა, გ. ტაბატაძემ** და **ავ.სვიანაძემ,** რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოში არსებული საერთშორისო საზაფხულო ბანაკების საგზურებით.

შარშან არაერთი პროექტი და აქტივობა წარმატებით განხორციელდა. მაგალითად: ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო მოძრაობის **„არა ბარბარიზმებს“** ფარგლებში, მოწყობილი ესეების კონკურსში XI2 კლასის მოსწავლეები **გ. თავაძე, ა. გაბრიელიძე, გ. ლიპარტელიანი** და კიდევ 5 მოსწავლე პედაგოგ **ლია დათაშვილის** ხელმძღვანელობით გამარჯვებული გახდნენ. უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს მათმა ესეებმა, რისთვისაც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. პირველი ადგილი, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურა ბრიტანული საბჭოს პროექტში გამარჯვებულმა 2 მოსწავლემ: **ანა ჯაფარიძემ** და **ნუცა ფურცელაძემ.** ისტორიის პედაგოგის **ლელა ზერეკიძის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განათლებისა და თავდაცვის სამინისტროების მიერ გამოცხადებულ კონკურსში **„ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, გავხდეთ მკვლევარები“** ჩვენმა მოსწავლეებმა **ნ. ღოლიჯაშვილმა, ლ. თეთვაძემ** და **დ. ყურელმა** პირველი ადგილი მოიპოვეს. სკოლის ეკოკლუბმა გადალახა ნახევარფინალი და პროექტისა და გორის მერიისაგან დაიმსახურეს მადლობა, საჩუქრები და სიგელი. ეკო-კლუბის დაფუძნებლის და **ლუიზა ცერცვაძის** წარმატებული მუშაობის შედეგად გორის მერიამ კეთილმოწყობის სამსახურმა 160 ძირი მწვანე ნერგი გამოუყო სკოლას. გამწვანდა სკოლის ეზო მოსწავლეთა მონაწილეობით.საინტერესო აქტივობები და პრეზენტაციები გამართეს პედაგოგებმა: **ე. მიხანაშვილმა, ნ. პატარაშვილმა, მ. ჯავახიშვილმა, დ. ედიშერაშვილმა, თ. ხოხაშვილმა, ნ. ნონიაშვილმა და მ. გაზაშვილმა.**

სკოლაში წარმატებით განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული პროექტი **„თავისუფალი გაკვეთილები“.** ბიოლოგიის პედაგოგისა და სკოლის **„ეკოკლუბის“** დამფუძნებლის ლ. ცერცვაძის მიერ წარმოდგენილი განაცხადი ორ პროექტში მონაწილეობისათვის, სამინისტრომ მოიწონა და გამოუყო დაფინანსება პირველი პროექტისთვის 542 ლარი, ხოლო მეორე პროექტისთვის – 450 ლარი. ორივე პროექტი წარმატებით დასრულდა.



მოსწავლეთა თვითმმართველობა ყოველწლიურად ახორციელებს პროექტს **„ცოდნის აკადემია“.**

**ასე რომ, გორის მე-3 საჯარო სკოლა მოწოდების სიმაღლეზეა და ევროპულ სტანდარტებს უმიზნებს.**

**მზია გოგოძე**

**P. S. რედაქტორის მინაწერი:** „გორო, ქართლის შუაგულო, მეთაურო ქართლისაო, მზრდელო ყრმათა გენიოსთა და მსოფლიო რანგისაო“. ქალაქის სამი სკოლის დირექტორმა (ჯერ-ჯერობით არ ვასახელებ, ქალები არიან) შეთავაზებაზე, გაგვეშუქებინა სკოლის მოწინავე გამოცდილება, დაგვეფასებინა მათი პედაგოგების ღვაწლი, გულგრილი დამოკიდებულება გამოხატა. ერთ-ერთმა ისიც კი თქვა: ჩემს პედაგოგებს ასეთი რამ არ აინტერესებთო, უარი თქვესო.

განა შეიძლება დირექტორს არ აინტერესებდეს თავისი სკოლის პრესტიჟი? არც იმას დავიჯერებ, თითქოს **იაკობ გოგებაშვილისა** და **ნადია სამანიშვილის** სამშობლოში მოღვაწე პედაგოგისთვის უინტერესო, ან სულერთი იყოს, როგორ დააფასებს მათ თავდადებულ შრომას დიდი იაკობის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე დაფუძნებული გაზეთი.

სოფელ გლდანის საჯარო სკოლა – 120

# ჩვენი სკოლა გუშინ... დღეს... ხვალ...



**თბილისის 209-ე საჯარო სკოლა** სოფელ **გლდანში,** მდინარე **გლდანულასა** და **თიანეთის** გზატკეცილის გადაკვეთაზე მდებარეობს. 120 წლის, არაერთი ცნობილი ადამიანის აღმზრდელ სასწავლო დაწესებულებაში დღეს 197 მოსწავლე სწავლობს. ისინი აქტიურად მონაწილეობენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, მიჰყვებიან ჯანსაღი ცხოვრების წესს.

სკოლას უნარიანად უძღვება გამოცდილი პედაგოგი და ჟურნალისტი **ია აბუაშვილი**, მას მხარს უმშვენებენ გამობრძმედილი მოადგილე **მარიამ ყველიაშვილი** და ძლიერი მასწავლებლები. მოკლედ გთავაზობთ სტატიას იუბილარი სკოლის ცხოვრებაზე.

***

**ია აბუაშვილი:** ვინ მოთვლის ამ 120 წლის მანძილზე რამდენი სახელოვანი მამულიშვილი აღუზრდია ჩვენს სკოლას. წინამორბედთა სასახელო ტრადიციებს დღესაც დიდი წარმატებით ვაგრძელებთ და მაღალ შედეგებზე ვართ ორიენტირებულნი. ფრაგმენტულად გადმოგცემთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. მანამდე სკოლის მატიანედან, რომელიც შეადგინა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა **მარიამ ყველიაშვილმა**, მოვიგონებთ აქ მოღვაწე სახელოვან პედაგოგებს, რომელთა ამაგი დაუვიწყარია. აი, ისინი: **იოსებ სუხიტაშვილი, იოსებ გიორგობიანი, გაბო მეტრეველი, გიორგი ღონღაძე, ვანო აბუაშვილი, გიორგი ფარადაშვილი, გიორგი ყირმელაშვილი, ბაბულია ქაშიბაძე, ანიკო პეტრიაშვილი, მაშო ბიბილური, მარიამ კეკელიძე, კოტე და ვალოდია აკომოვები...**

დღეს კი...

ტრადიციულად აღინიშნება წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე. **ნინია სადღობელაშვილი, ვანო გულეური, გიორგი კაკაბაძე** და **მარიამ წიკლაური** თავიანთ შემოქმედებას აცნობენ მოსწავლეებს.

**„ცოცხალი წიგნების“** ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა, ქალბატონმა **ქეთევან დუმბაძემ** სკოლის ბიბლიოთეკას გადასცა მხატვრული ლიტერატურა და ჟურნალ **„გეოგრაფიკის“** ნომრები.

**მარიამ ყველიაშვილის** მიერ წარდგენილმა პროექტმა – **„უარი ნაადრევ ქორწინებას“** – უმაღლესი შეფასება და I ადგილი დაიმსახურა. პროექტის ფარგლებში მან მე-10 კლასში ჩაატარა საჩვენებელი ვიდეოგაკვეთილი თემაზე **„პროექტული სწავლება“.**





მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ გარემოსდაცვით პროექტებში.

საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის ჩატარდა ტრენინგი: „ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სახელმწიფოს განვითარებაში“. მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.



არასამთავრობო ორგანიზაცია **„ეკოვიჟენის“** მიერ ორგანიზებულ ევროპის დღისადმი მიძღვნილ ეკოკონკურსში ჩვენი სკოლის გუნდმა ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგის **ცისანა ზამთარაშვილის** ხელმძღვანელობით ფინალურ შეხვედრაში კასპელებთან გაიმარჯვა.

**„მეწარმეობის საფუძვლების“** სწავლებისას პედაგოგმა **თამარ ქმოსტელმა** მოსწავლეთა ნახელავი **მინიატურული ფანდური** და სუვენირები გამოფენა-გაყიდვაზე გაიტანა.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ (მასწავლებლები: **თამარ დოლიშვილი, ია აბუაშვილი**) ხორციელდება არაერთი ინტეგრირებული და საგნობრივი პროექტი: **„რომანტიზმის კვალდაკვალ“, „მცხეთა – მეორედ იერუსალემი“,** ლიტერატურული სალონი: **„ბარათაშვილი, მიცკევიჩი, ლეოპარდი...“**

ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ განათლების ახალი მინისტრის, **მიხეილ ბატიაშვილის** ახალი ინიციატივების ხორცშესასხმელად.

***

მართლაცდა, მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს იუბილარი სკოლა, თავდადებით იღვწიან პედაგოგები. გალაკტიონისა არ იყოს: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“, ბევრი საქებარი სიტყვა ვერ ვთქვით. მომავლისთვის იყოს.

**ახალ წელს 120 წლის იუბილარი სკოლა სიამაყით ხვდება. უფრო მხრებგაშლას, ახალი სიმაღლეების დაპყრობას გისურვებთ!**

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის დოქტორი

თბილისის 94-ე საჯარო სკოლა წინ მიდის

# „ოქროს შემოდგომა“, „თბილისობა“ და მშობლები





**თბილისის** N94 საჯარო სკოლა ისან-სამგორის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცოდნის კერაა ყოველწლიურად მზარდი კონტინგენტით.

სკოლა გამოირჩევა პროფესიონალთა ძლიერი გუნდით, 2 წამყვანი, 70 უფროსი და 28 პრაქტიკოსი მასწავლებელი სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად გამოცდილი დირექტორის – **ნინო გახარიას,** მოადგილეების – **ეკატერინე ლიჩელის** და **ეკა სიმსივეს** ხელმძღვანელობით ზრუნავენ სანიმუშო გარემოს შესაქმნელად.

აქ ყველა რგოლი კოორდინირებულად მუშაობს და შესაბამისად წარმატებაც ბევრი აქვთ.

სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებასაც, რაზეც მეტყველებს ის უამრავი ღონისძიება თუ პროექტი, რომელიც წლების განმავლობაში ტარდებოდა და ტარდება დღესაც.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რამდენიმე მიმართულებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სასკოლო ცხოვრებაში **მშობელთა ჩართულობის** ხელშეწყობაა. სკოლის დირექციამ ახალი სასწავლო წლიდან უკვე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ამ კუთხით. მნიშვნელოვანი იყო, რომ წელს ჩაერთო პროექტ **„იზრუნე.ჯი“**-ში. მშობელთა ჩართვა ამ პროექტში დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, დაგეგმილია კიდევ ერთ საინტერესო პროექტში „მშობლები განათლებისთვის“ ჩართვა უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის წარმატებულად განსახორციელებლად.





მშობელთა სასკოლო ცხოვრებით დაინტერესების არაჩვეულებრივი მაგალითი იყო I[3] კლასის (მათ ხომ სულ 2 თვეა, რაც სკოლის ზღურბლს გადმოაბიჯეს) მიერ მომზადებული ღონისძიება **„ოქროსფერი შემოდგომა“.** კლასის ხელმძღვანელის, მადონა ლაშხიას თავდაუზოგავი შრომითა და ინიციატივით ამ პატარებმა შემოდგომის ერთი ლამაზი დღე აჩუქეს სკოლას.

ჯერ კიდევ გუშინ ენაადგმულმა პატარა გოგო-ბიჭებმა არაჩვეულებრივი ლექსებით და სიმღერებით ხოტბა შეასხეს შემოდგომას და გააცილეს ის. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა მშობლების მიერ საკუთარი ხელებით მოწყობილმა სკოლის ეზომ. რას არ ნახავდით აქ? მეგრულ თუ კახურ სამზარეულოს, წალამზე მოშიშხინე მწვადს, შუა ცეცხლზე ჩამოკიდებულ ქვაბს, რომელშიც ელარჯი იწელებოდა მადის აღმძვრელად, იქვე მოთუხთუხე თათარას, რომლიდანაც ბავშვები საკუთარი ხელებით ავლებდნენ ჩურჩხელებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რითიც ეს დღე დაამახსოვრდებათ ამ ცეროდენებს იყო ის, რომ ყველაფერი კეთდებოდა თითოეული მოსწავლისა და მათი მშობლების, ხშირ შემთხვევაში ორივე მშობლის ჩართულობით.

სკოლას კიდევ უამრავი საინტერესო პროექტი აქვს დაგეგმილი მშობელთა მონაწილეობით. თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ სკოლის დირექციის, პედაგოგებისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლე და მშობელი სკოლას აღიქვამდნენ ისე, როგორც საკუთარ სახლს, ოჯახს, სადაც უყვართ და ზრუნავენ ერთმანეთზე.

ასეთი მუშაობით მაღალი შედეგები ე. ი. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება გარანტირებულია.



**ირმა მეგონია**

აღსაზრდელებს მუდამ ემახსოვრებათ

# ბავშვები და მშობლები კმაყოფილნი არიან



**თბილისის** 87-ე ბაგა-ბაღი ის საბავშვო დაწესებულებაა, რომელიც გამოირჩევა პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და ფაქიზი დამოკიდებულებით. ბაღის წარმატებები კი, ბავშვებთან და პერსონალთან სწორი დამოკიდებულების შედეგია. ბაგა-ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა. ყვავილებითა და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით მორთული დერეფნები და ოთახები სასიამოვნო განწყობას ქმნის და პატარებს და მშობლებს ჩინებულ განწყობაზე აყენებს.

გამოცდილი დირექტორი **ნინო ცხოვრებაძე,** დიდი რუდუნებით ცდილობს ცეროდენებს კომფორტული გარემო შეუქმნას და დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლოს. იგი, სამი წელიწადია, რაც ბაღის დირექტორია და ამ ხნის მანძილზე, ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარში დგომით, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.

**ნინო ცხოვრებაძე**: მიყვარს ჩემი საქმე და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები დაკისრებულ მოვალეობას. ამ სამი წლის განმავლობაში, შევეცადეთ ყველა მოთხოვნა დაგვეკმაყოფილებინა, რაც ხელს შეგვიწყობდა ავტორიზაციის გავლაში. კონკრეტულად, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტი, გაკეთდა ეზო, რომელიც 8 წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. ბაღში მთლიანად შეიცვალა ინვენტარი. მოხერხდა კვების ბლოკის აღჭურვა – ახალი ინვენტარით, რომელიც აკმაყოფილებს სურსათის ეროვნული სააგენტოს დადგენილ ნორმებს. ჯგუფები უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის სააღმზრდელო მასალით. ამ ეტაპზე, სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. ასე რომ, სექტემბრიდან ჩვეულ რიტმში შევუდექით მუშაობას, განსაკუთრებული სიახლეების გარეშე. ბაგა-ბაღში სულ 170 აღსაზრდელია და 5 ჯგუფია. წარმატებით მუშაობს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, სადაც 50 აღსაზრდელია ჩართული.





საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და ყველა თანამშრომელი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, გუნდური მუშაობის უნარით. პროფესიონალი აღმზრდელები კი, ორიენტირებულნი არიან პოზიტიური ქცევის მართვის სტრატეგიებზე, თავდადებით ზრუნავენ ბავშვების აღზრდა-განვითარებაზე.

ბაგა-ბაღში სისტემატურად იმართება სეზონური ზეიმები, შემოდგომის თემასთან დაკავშირებული აქტივობები, საახალწლო კარნავალი, დედის დღისადმი მიძღვნილი დილა, გაზაფხულის თემასთან დაკავშირებული ღონისძიებები; ასევე, აღინიშნება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე, დამამთავრებელ ჯგუფებში ბაღთან გამოსამშვიდობებელი ღონისძიებები...



ჰიგიენას და სისუფთავეს აქ განაკუთრებული ყურადღება ექცევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიზნით, მიმდინარეობს ყველანაირი სანიტარული ნომრების ზედმიწევნით დაცვა. კვება სანიმუშო დონეზეა, დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა, მენიუ შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. აღსაზრდელისთვის განკუთვნილი დღიური კალორაჟი შეადგენს 1292 კ/კკლ-ს.

დირექტორი და ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი ყველაფერეს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ჰქონდეთ და ბაღში გატარებული წლები არასოდეს დაავიწყდეთ.

**მზია გოგოძე**



142-ე ბაგა-ბაღის პრიორიტეტები

# დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ







**სკოლამდელი** ასაკის პატარებისთვის სწორი აღზრდა და ოჯახური გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანესია. ამი-ტომაც არის, რომ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით, საბავშვო დაწესებულებებში, ყოველწლიურად უმჯობესდება მდგომარეობა და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

ამჯერად, მოგითხრობთ 142-ე ბაგა-ბაღზე, სადაც პატარები ჯანსაღ ატმოსფეროში იზრდებიან, კვებაც განსაკუთრებული აქვთ და დედობრივ მზრუნველობასაც არ აკლებენ. ენერგიული და მოტივირებული დირექტორი, ბაღის მთელ კოლექტივთან ერთად თავდაუზოგავად შრომობს, რათა პატარებს ბაღში მისვლა უხაროდეთ.







ბაგა-ბაღის დირექტორია **თეა ლაშხი,** პროფესიით ისტორიკოსი და დედაუნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**თეა ლაშხი**: პატარებთან მუშაობა დიდი პასუხისმგებლობაც არის და სასიამოვნოც. 142-ე ბაგა-ბაღში , 2017 წლის თებერვლიდან ვმუშაობ და ვცდილობ ყველასთვის კომფორტული გარემო შევქმნა. ბაღში ფუნქციონირებს 7 ჯგუფი, სადაც ირიცხება 250 აღსაზრდელი. კოლექტივიც მეგობრული გვყავს, აქ დასაქმებულია 50 თანამშრომელი, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ აღსაზრდელთა სწორად აღზრდისა და სასიამოვნო გარემოს შექმნისათვის. ჩვენი პრიორიტეტებია: **უსაფრთხო, ჯანსალი, მრავალფეროვანი** და შემოქმედებითი გარემოს შექმნა, შეუფერხებელი **საალმზრდელო პროცესი, სან-ჰიგიენური** ნორმების მაქსიმალური დაცვა, **მშობელთა ჩართულობა,** საალმზრდელო **პროგრამის აღქმა** და შესწავლა. ამ მოკლე დროში, ბევრი რამ გაკეთდა ბაღების მართვის სააგენტოს დახმარებით და ჩვენი კოლექტივის თავდაუზოგავი შრომით. პრიორიტეტებიდან გამომდინარე დაისახა მიზნები და ჩატარდა არაერთი ღონისძიება. მოეწყო ბაღის ეზოს ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოების მიზნით დემონტაჟი ჩაუტარდა დაზიანებულ ატრაქციონებს, გაკეთდა და კეთილმოეწყო გასართობი მოედნები. გამოიცვალა დაზიანებული წყლის და საკანალიზაციო მილები, შეიცვალა სამზარეულოს მწყობრიდან გამოსული ინვენტარი, ასევე, გარემონტდა დარბაზი, შეკეთდა საევაკუაციო კიბე, რამოდენიმე ჯგუფში შეიცვალა იატაკის საფარი და შეილება კედლები.



აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს **მულტიდისციპლინარული** გუნდი, რომელთა მუშაობის შედეგად ყველა სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელი ადაპტირებულია ჯგუფებში. აქ შემოქმედებით ღონიძიებებს დიდი ყურადღება ეთმობა.

დირექტორის ინიციატივით მეთოდური კუთხით ბევრი საინტერესო ღონისძიება და აქტივობა მოეწყო. ჩატარდა წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა: მსახიობმა ვასიკო ოდიშვილმა და მწერალმა გივი ჩიღვინაძემ საინტერესო მოთხრობები და ზღაპრები წაუკითხეს პატარებს.



142-ე ბაგა- ბაღში ასევე, აღინიშნა **დედამიწის დღე,** სადაც აღსაზრდელებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, დარგეს ყვავილები და გაალამაზეს ეზო. აგრეთვე, აღინიშნა **აუტიზმის ცნობადობის ამაღლების** დღე, **დაუნის სინდრომის** და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. საბავშვო დაწესებულებაში, სისტემატურად ტარდება საინტერესო აქტივობები, შემაჯამებელი და გამოსაშვები ღონისძიებები.



ბაგა-ბაღის მესვეურები იმედოვნებენ, რომ მომავალი წელი უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იქნება. ენერგიული, შემოქმედი დირექტორის **თეა ლაშხის** ხელმძღვანელობით გვჯერა, ეს მიზნები ფრთებს შეისხამს. წარმატებას გისურვებთ 142-ე ბაგა-ბაღელებო!

**ანანო სამელია**

## პაროდია

## „ყავას" პრემიის ლაურეატი

**მოუნდა** გიგას პოეტობა და პოპულარობა. ლექსის წერას რა უნდა, კაშკაშა რითმა-რიტმი და მისი ჯანიო. ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ლექსი დაუბეჭდეს, მაგრამ სადაა სახელი და დიდება? იქვე, ახლოს იყო ლიტკლუბი **„ყავა"**. იმართებოდა კონკურსები. მსუყე პრემიებიც ჰქონდათ. რით მიექცია მათი ყურადღება? ჰო, მართლა! საკონკურსო ნომინაციებში საბავშვო ლექსები არ იყო. „მოდი, ერთი, **„ბასტი-ბუბუ"** გავრითმოო!"

ბევრი იჭყლიტა ტვინი, მაგრამ კაშკაშა რითმებს ვერ მიაგნო. გაახსენდა ერთი პოეტის ნათქვამი: **მუზა ტუალეტში მომდისო.** მაშინვე შევარდა და მუზამ უნიტაზიდან ამოსძახა: „ბასტი-ბუბუ" შეაბრუნე, შეაბრუნეო! შეაბრუნა და წყაროსავით არ წამოვიდა? **„ბუბუ-ბასტი ბუბუ-ბასტი, მინდა გავხდე „ყავარასტი", რომ არ მითხრან „ფანდარასტი", უარესი, უფრო ხისტი".** ასე რაკრაკით ბოლომდე ჩავიდა. კლუბ „ყავაზე" რომ არაფერი ვთქვა, შეიძლება? და: **„კლუბი „ყავა", „კლუბი „ყავა", „ყავამ თუ არ დამიყვავა, მაშინ ვავა! მაშინ ვავა!"** ასე ვერ გავიმარჯვებ. სად არის აქ საბავშვო თემატიკა? ჰოდა, დაეპწკარა ქაღალდს ლექსები: **„ოცი ბუ და ათი ბატი, რამდენია, ჩემო ფატი? დავუმატოთ ასი კვატი, აბა, გამოიცან, რატი!"** რახან მუზა გაიხსნა, აი კიდევ: **„ბევრი პური, ბლომად ქადა, მომემატა ჭამის მადა, მაგრამ კუჭს რა გაუხარდა? კუჭი მალე დაავადდა"...** აი, სიახლე – სამედიცინო თემა!

კიდევ ბევრი შეაქუჩა და საკონკურსოდ გვარიანი კრებული გამოუვიდა.

პრეზენტაციაზე კრიტიკის კორიანტელს კი გადაურჩა, მაგრამ ორი მწვავე შენიშვნა მაინც მისცეს: სხვა პოეტის მიბაძვის ხმა გვესმისო და უფრო მთავარი – სექს-ტერმინებსა და ბილწსიტყვაობაში სერიოზულად მოიკოჭლებო.

საკონკურსოდ წარდგენილ წიგნში ხარვეზებს აღმოვფხვრიო, – შეჰპირდა და პირნათლად შეასრულა. ასე გახდა გიგა **„ყავას" პრემიის ლაურეატი.**

**მოსე მწერალი,**
ჟიურის არაწევრი კრიტიკოსი

# „თილისმის“ გრძნეული ხიბლი და თილისმა




**შინისკენ** მიმავალს, ემოციები ოდნავ რომ გამინელდა, ეს ანეგდოტი გამახსენდა: უამინდობის გამო, კვლავ გადაიდო ქართველ ვარსკვლავთა ღია კონცერტი. ბუნებამ უკვე მერამდენედ დაინდო მაყურებლებიო.

ვარსკვლავთცვენაა საქართველოში! წაიკნავლ-წაიღავლავებს ვინმე – ვარსკვლავია; ბილწად აროკდება – ვარსკვლავია; ინსტრუმენტს ააჟღრიალებს – ვარსკვლავია.

რას იზამ, ამ უპატრონო ქვეყანაში სწორედ ეგეთებს ჰყავთ პატრონები. აყეფებენ და აყეფებენ კატებს.

რამდენი ფული იყრება უნიჭო, ვითომ საავტორო, ნამდვილად კი პლაგიატურ ვაი-შოუებში, გადაყრუებულ, ჩამოწერილ უცხოელ შემსრულებელთა ჩამოყვანასა თუ რაღაც ჯაზ-ფესტივალებში.

ეროვნული, ხალხური საგანძური კი მიგდებულია. სული ამოსდით უნიჭოებს, დილეტანტებს, სხვათა წამხედურებს ურთიერთქებაში. აი, ისე კროლოვს რომ აქვს – მამალი იმიტომ აქებს გუგულს, რომ გუგული აქებს მამალს, რა კარგად მღერიო. ამასობაში კი ეროვნულ ფესვებს მოგლეჯილი თაობები გაგვეზარდა და გვეზრდება.

დაკარგული თაობები. ეს ერის ტრაგედიაა! და ხალხური კულტურის ასეთი ძნელბედობის ჟამს, რაოდენ დიდად დასაფასებელია ისინი, ვინც ცხოვრების მიზნად ყმაწვილების სწორედ ამ ეროვნულ-ხალხურობით აღზრდა დაისახა მიზნად.

**შეიხედონ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დიდუბის ფილიალში, ერთხელ, ერთადერთხელ მოუსმინონ აქაურ ხალხურ საკრავთა ანსამბლ „თილისმას“ და ისეთი გრნეული თილისმის ხიბლი მოიცავთ, თუ ქართველობის რამ შერჩენიათ, დედინაცვალს უთუოდ აქცევენ ზურგს და დედისკენ შემობრუნდებიან, მოეფერებიან.**

ასტრონომები, კოსმოსში რომ ეძებენ ახალ ვარსკვლავებს, კომეტებსა თუ ასტეროიდებს, ამ სახლში უცებ აღმოაჩენენ 11 კაშკაშა ჭეშმარიტ „ვარსკვლავს“: **ვანო და გურამ ფსუტურებს, თამარ და მაია კვარაცხელიებს, საბა ახალაძეს, სალომე ფოფხაძეს, ანა-მარია რაზმაძეს, ირაკლი მნათობიშვილს, ანა ლობჟანიძეს, თამარ ლაზარაშვილს, მარიამ უშიკიშვილს** და ამ თანავარსკვლავეთის დამფუძნებელ-შემკრებს, საქართველოს დამსახურებულ, სერთიფიცირებულ მასწავლებელს, მუსიკოსსა და ლოტბარს ქალბატონ **ნანა მაღლაკელიძეს,** ვინც სულსა და გულს აქსოვს ამ მართლაც საშვილიშვილო ეროვნულ საქმეში.




ეროვნული, საშვილიშვილო კიდევ იმიტომაა, რომ ამ ყმაწვილებს, ასეთი გრძნებით, თავდავიწყებით რომ ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, აუცილებლად ეყვარებათ სამშობლო, მისი ისტორია, ლიტერატურა, ფოლკლორი, რადგან სწორედ აქედანაა აღმოცენებული და მასზეა დაფუძნებული ჩვენი ქართველობა, ჩვენი ერთადერთობა და განუმეორებლობა. ეს ერის სულიერების მთლიანობაა და ყოველი მისი ნაწილის სიყვარული, დანარჩენის სიყვარულს განაპირობებს.

7 წელიწადი. ცოტაა, თუ – ბევრი? გააჩნია – რისთვის. აღსაზრდელები რომ უნივერსალებად, ვირტუოზებად ჩამოაყალიბო? თანაც, ანსამბლის დაარსების პირველივე წელს (2011) ისე რომ მოხიბლავ მართლაც ჟიურის, „იპოვე შენი ვარსკვლავის“ (დამფუძნებელი და ხელმძღვანელი – კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი **სვეტლანა ჩოჩუა**) ფესტივალზე კომპოზიტორთა სახლში თავად რომ დაგარქმევს „თილისმას“, ამას რაღა უნდა დაამატო?

არადა, „დასამატებელი“, გაგიხარიათ, იმდენია, იმდენი ჯილდო, დიპლომი აქვთ მიღებული, მხოლოდ ჩამოთვლასაც რომელი საგაზეთო წერილი დაიტევდა?



ამიტომ მთავართაგან რამდენიმე უმთავრესს გამოვყოფ: **5 ოქროს მედალი თბილისში (2), ბაქოსა და ქობულეთში გამართულ ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალებსა და საბა ახალაძის ოქრო ფანდურის ვირტუოზული დაკვრისათვის.**

საერთაშორისო, ერთობ კომპეტენტური ჟიური გაოგნებული შეჰყურებდა და ისმენდა, როგორ შეძლო **„თილისმამ“**, ქალბატონმა ნანამ გიტარებისა და ხალხურ საკრავთა ზღაპრულად ჰარმონიულად, ორგანულად შერწყმა.

ჩვენი დროების სავალალო რეალობა: **„თილისმამ“** საერთაშორისო ჟიურები მოხიბლა,



ოქროს მედლები დაიმსახურა, მაგრამ ვერც ერთ შინაურ შემძლეს „ვერ მოაწონა თავი“.

ყველა თილისმელი სოლისტია და კლასიკურ ფანდურზე, გიტარაზე, დიპლიპიტოზე, ტამტამზე, სალამურსა და აკორდიონზე პროფესიონალურად უკრავს (ეს თავად ვნახე და მოვისმინე). **„თილისმა“** ამ მხრივაც უნიკალურია.

ბატონო მეცენატებო! ეგებ, მოხედოთ „თილისმას“. მერწმუნეთ, გაღებული თანხები ამჯერად მართლა ეროვნულსა და საშვილიშვილო საქმეს მოხმარდება. მით უფრო, რომ ქალბატონი ნანა უკვე უყრის საფუძველს ამჟამინდელ თილისმელთა ცვლას – ნიჭიერ პატარებს ეძიებს და კრებს, რათა თაობათა ცვლა უწყვეტი იყოს.

მანამდე კი **„თილისმას“** მშობელთა მონდომებით უდგას სული: ინსტრუმენტები (თითო ფანდური 300 ლარი ღირს, სალამური – 80), სამოსი, კონკურს-ფესტივალების ხარჯები მათი გაღებულია. უწყიან ქალბატონებმა, რაოდენი მადლია ხალხურსა და ხალხურობაში, დედებს სურთ, შვილები ქართველებად, საქართველოსთვის გაზარდონ და, გაჭირვების მიუხედავად, ასე ევლებიან თავს შვილებსა და „თილისმას“.

ქალბატონები: **მაია გრძელიძე, შორენა მირცხულავა, მარეხ ბოხაშვილი, ლიკა ნუსხელიძე, რიტა ფოფხაძე, ნაირა მაღლაკელიძე, ნანა ლიქოკელი, ციცინო რაზმაძე.** აი, ისინი ვისი ღვაწლის გარეშე, ქალბატონი ნანას დიდი მონდომების მიუხედავად, **„თილისმა“** ვერ ითილისმებდა, ვერ დაგვატკბობდა, აღგვაფრთოვანებდა ხალხური სიმღერა-მელოდიების განუმეორებელი, ზეალმტაცი ხიბლით.

მაგრამ... ეს ოხერი მაგრამ რომ გვეჩხირება? წავლენ ამ თაობის თილისმელები, წაიღებენ მშობლების შეძენილ საკრავებს და ჩაკვდება ეროვნული სულის კიდევ ერთი გამოხატულება? ჰაერში გამოეკიდება ქალბატონი ნანას დაუოკებელი სურვილი თაობათა მონაცვლეობისა?



არც ასეთი უიმედობაა: შემოქმედი, დაუდეგარი ქალბატონის, მომავალ თილისმელთა მშობლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, ვისაც ღვაწლმოსილი პედაგოგი და ხელმძღვანელი ბატონი **ვაჟა ჭიპაშვილი** უდგას სათავეში, ერთობლივი ძალისხმევით აუცილებლად გამოინახება **„თილისმის“** სიცოცხლის გაგრძელების გზები და საშუალებები, მაგრამ რატომ უნდა გაუხდეთ ასე საწვალებლად საქმე? ამიტომ, ვიმეორებ, მიხედეთ, ვისაც ხელგეწიფებათ, **„თილისმას“.** ეს მართლაც ქველმოქმედება იქნება, ერის, ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო ქველმოქმედება და არა ისეთი, ეკლესიის დიდმა მამამ რომ თქვა, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა ქველმოქმედებითაა მოკირწყლულიო და სწორედ ისეთი ე. წ. ქველმოქმედებანი იგულისხმება, რასაც ასე უხვად გაიღებენ ხოლმე ე. წ. მეცენატები.

**„თილისმის“** დიდებული წარმატებები იმანაც განაპირობა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მას, შეძლებისდაკვალობაზე, მუშაობის მაქსიმალური პირობები შეუქმნეს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეს სახლი 1934 წელს დაარსებული ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის სამართალმემკვიდრე და, ამდენად, ერთ-ერთი უძველესი იყო ყოფილ საბ-



ჭოთა კავშირში. ამჟამად მე-40 ბაგა-ბაღის მეორე სართულზეა შეყუჟული. უკვე 20 წელიწადია აქ არიან „დროებით“ და კიდევ რამდენ ხანს გასტანს ეს „დროებითი“, ვინ უწყის?

სივიწროვის მიუხედავად, მაინც 250 აღსაზრდელი ჰყავთ. მათგან 200-ის სწავლას მერია აფინანსებს. ყმაწვილები სწავლობენ ინგლისური ენის (ხელმძღვანელი – **ნათია მგალობლიშვილი**); რუსული ენისა და მხატვრული თარგმანის (**თინათინ სარქისიანი**); მათემატიკის (**მარინე ჯაში**); ვოკალის (ანსამბლი **„ჩიორა“,** კომპოზიტორი **მარიკა ბერიტაშვილი**); მხატვრული და გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ბელა თევზაძე**); ქართული ცეკვის (სუხიშვილის ანსამბლის მოქმედი სოლისტი **ბესო დეკანოიძე**) წრეებში. მოქმედებს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი **„ცერული“**, რომელსაც მასში აღზრდილი **ნიკა რეხვიაშვილი** ხელმძღვანელობს.

და ყველა ერთად, მიზანმიმართულად, შემართებით ილვწის, რათა ყოველმა აღსაზრდელმა ისე იგრძნოს თავი, როგორც შინ, თავის სახლში.

**კონსტანტინე გურგენიძე**






იუბილესთვის ემზადებიან

# „მჭევრი“ – მრავალპროფილიანი და პოპულარული



**„დედა ენის** არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე – ერის სიცოცხლეს ნიშნავს“ – **იაკობ გოგებაშვილის** ეს სიტყვები ამშვენებს დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებელს **„მჭევრს“.** სკოლაში გასაოცარი წესრიგი, სისუფთავე, დისციპლინა და კეთილგანწყობა სუფევს, უსაფრთხო გარემო და მაღალკვალიფიციური კოლექტივია. ბიზნეს სკოლასთან არებობს საბავშვო ბაღიც, სადაც პატარებითვის კომფორტული ატმოსფეროა შექმნილი.

**„მჭევრის“** დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა 25 წელიწადია არსებობს და 6 წელია, რაც საკუთარი შენობა გა-აჩნია. ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებულია და აღჭურვილია შესაბამისი, თანამედროვე ინვენტარით. დირექტორს, შესანიშნავ ხელმღვანელ და პროფესიონალ განათლების მუშაკს **თამაზ ნაცვლიშვილის,** მხარშიუდგანანალმასრულებელი მენეჯერები: **ლია გელენაძე** და **გოგი ლამბაშიძე. „მჭევრი“** 111-ე საჯარო სკოლის შენობაშია განთავებული და ის მოსწავლეები, რომლებიც იქ სწავლობდნენ ბიზნეს სკოლაში უფასოდ აგრძელებენ განათლების მიღებას. შეღავათებით სარგებლობენ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებიც.



ბიზნეს-სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური, შეხმატკბილებული პედაგოგებით. კერძო სკოლა მოიცავს პირველიდან მე-12 კლასს. აქ მოქმედებს დამატებით სახელმწიფო საგანმანათლებლო ციკლი – **ეკონომიკის საფუძვლები.** მაღალ კლასებში ისწავლება უნარ-ჩვევები, როგორც საგანი. კლასებში, საშულოდ, 18 მოწავლეა. აქ 162 მოზარდი უსასყიდლოდ ეუფლება განათლებას. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს დამატებითი მეცადინეობებიც უტარდებათ, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი.

**ბიზნეს სკოლაში** უკვე ტრადიციად დამკვიდრდა წამახალისებელი პრემიები, როგორც პედაგოგებისთვის ასევე, მოსწავლეებისთვის. წარმატებული 8 მოსწავლე, სკოლიდან ფულად პრემიას იღებს ყოველი სემესტრის



ბოლოს, ხოლო ათოსნები წლის ბოლომდე (სტიპენდია ეხება როგორც კერძო, ასევე, უფასო სექტორს). ოლიმპიადებში და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულები კი, ერთჯერად ფულად პრემიებს იღებენ. სკოლა აცხადებს კონკურსს წლის საუკეთესო მოსწავლის, კლასის, დამრიგებლის და კათედრის ხელმძღვანელის გამოსავლენად. გამარჯვებულები კი, წლის ბოლოს საზეიმოდ დაჯილდოვდებიან.

**თამაზ ნაცვლიშვილი:** შპს **„მჭევრის“** დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის მისიაა: მოამზადოს განათლებული ახალგაზრდა ლიდერები, რომელთაც შეეძლებათ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალის თვითრეალიზება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში წარმატებულად მონაწილეობა.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი ჯგუფების შვიდი კათედრა, მათ შორის: დაწყებითი საფეხურის – თავმჯდომარე **რუსუდან მაქაცარია,** ქართული ენისა და ლიტერატურის – **ია ჩიხლაძე**, მათემატიკის, ისტ-ის, ბიზნესისა და უნარ-ჩვევების კათედრისა – **როზა ბარბაქაძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **ლანდიშ ახვლედიანი,** საზოგადოებრივი მეცნიერებების – **რუსუდან ოდიკაძე,** უცხო ენების **თინათინ მელაძე,** ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის – **ლიანა ნატროშვილი,** დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით, ბიზნეს სკოლის მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს **ქართული ხალხური ცეკვისა** და **საკრავების** წრე-ები. ყოველწლიურად, ბიზნეს სკოლის მოსწავლეები ამუშავებენ ბიზნეს პროექტებს და შემდეგ კომპეტენტური კომისიის წინაშე იცავენ.

**„მჭევრის“** ბიზნეს – სკოლისა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის წლებია გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სივრცეში მაქსიმალურ ინტეგრირებას, საშუალო და უმაღლეს სკოლებს შორის პროგრამული მემკვიდრეობის აუცილებლობას, მოწინავე გამოცდილების ოპერატიულად ურთიერთგაცვლას. ყოველ სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეებს ხვდებიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ამჯერად, სკოლის უფროსკლასელები (მე-10, მე-11, მე-12 კლ) ესტუმრნენ კავკასიის უნივერსიტეტს, რომლის მიზანი იყო მოსწავლეების მი-ერ მომზადებული ბიზნეს პროექტების დაცვა (სულ ხუთი პროექტი).

ბიზნეს პროექტები დაიცვეს: **მელიტა მელიქიშვილმა** (Xა კლასი) – სოკოს წარმოება; **ელენე საკანიანმა** (Xა კლასი) – საბავშვო ბაღი. **მარიამ მუმლაძემ** და **თამარ ოდიშელიძემ** (XII კლასი) – მაღაზია-ატელიე; **ლიზა კრასნორუცკაიამ** და **ანა ლევანიძემ** (XII კლასი) – მომსახურების სფერო; **გიორგი მოსიძემ** და **ლადო ასანიძემ** (XII კლასი) – სათამაშო ბიზნესი; ნამუშევრები შეაფასეს კომისიის წევრებმა კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორებმა: **პაატა ბერეკაშვილმა, პავლე კაპანაძემ, რუსუდან ჩაჩანიძემ, ნიკა ბერეკაშვილმა.**

გულთბილი და შთამბეჭდავი იყო უნივერსიტეტის რექტორ **კახა შენგელიასთან** შეხვედრა. დაისახა სამომავლო საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის გაზიარების, გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის გეგმები. მოსწავლეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო სივრცე. რექტორატმა მოსწავლეები დაასაჩუქრა და გაუმასპინძლდა ალაფურშეტით.



საგულისხმოა, რომ სკოლას წელს ჰყავს მედლის კანდიდატი მე-12 კლასის მოსწავლე **მარიამ მუმლაძე.** ბიზნეს სკოლას, ბოლო 5 წლის მანძილზე ჰყავდა 3 ვერცხლის (**ანა გზირიშვილი, ეკატერინე** და **დიმიტრი ხარშილაძეები**) და ერთი ოქროს (**ონისე წულაია**) მედალოსანი, რომლებიც 100% სახლმწიფო დაფინანსებით დღესაც განაგრძობენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას მოსწავლეთა წახალისების მიზნით, დაწესებული აქვს სხვადასხვა სახის ჯილდოები და სტიპენდია. **2018-2019 სასწავლო წელს სტიპენდიას იღებს სწავლაში წარჩინებული 8 მოსწავლე. მათ შორის: სვეტლანა აგამირიანი** – VIა კლასი, **ანასტასია გოგიძე** – VIIა კლასი, **ალექსანდრა საკანიანი** – VIIა კლასი, **ვაჟა ხუბეჯაშვილი** – VIIIა კლასი, **თამარ მშვიდობაძე** – VIIIბ კლასი, **თამარ სალაყაია** – IXა კლასი, **ელენე საკანიანი** – XIა კლასი, **მარიამ მუმლაძე** – XIIა კლასი.

სკოლა ამაყობს მოსწავლეთა მიღწევებით. წამახალისებელი ჯილდოები და სიგელები გადაეცათ სასკოლო კონკურსში **„ნიჭიერში“** გამარჯვებულებს. მათ შორის: **ანანო ნარსიას** – მე-9 კლასი – სიმღერაში, **გვანცა ლინდარიძეს** – მე-11 კლასი – დოლით დაკვრაში, **დავით ბასილაშვილსა** – მე-10 კლასი – და **გიორგი ჯავახიშვილს** - მე-11 კლასი – მხატვრულ კითხვაში – **მინდია ბუჩუკურს** – მე-12 კლასი – მხატვრულ კითხვაში, **სვეტლანა აგამირიანს** – მე-6 კლასი – ცეკვაში ჰიპ-ჰოპი.

პედაგოგებიდან 2 მეცნიერებათა დოქტორია – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ია ჩიხლაძე** და ისტორიისა – **მაკა კოშაძე**. ასოცირებული პროფესორია ფიზიკის მასწავლებელი **ლანდიშ ახვლედიანი.** გარდა ამისა მოღვაწეობს 15 უფროსი, 13 პრაქტიკოსი და 6 ახალგაზრდა დამწყები მასწავლებელი.

ბიზნეს სკოლის მენეჯმენტი არც პედაგოგების მიერ გაწეულ საქმიანობას ტოვებს წახალისების გარეშე. 2017-2018 სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა რომლებმაც სხვადასხვა კონკურსებისათვის მოამზადეს გუნდები გადაეცათ პრემიები. მათ შორის:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული არქივის პროექტის ფარგლებში – „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ და მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციაზე „ადამიანი და ცხოველთა სამყარო“ მოსწავლეთა გუნდების მომზადებისათვის ისტორიის მასწავლებელს მაკა კოშაძეს და ბიოლოგიის მასწავლებელს ირინა ბოკერიას და სასკოლო კონკურსის „ნიჭიერის“ ორგანიზებულად ჩატარებისათვის მუსიკის მასწავლებელს **ლელა შაოშვილს** პირად ანგარიშზე პრემიის სახით ჩაერიცხოთ 100 (ასი) ლარი.

აქ ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 30 აღსაზრდელზე. მათ სწავლა-განათლებასა და მოვლა-პატრონობაზე ზრუნავენ აღმზრდელები – **თინათინ თოთლაძე** და **მაია ბაცანაძე,** აღმზრდელის თანაშემწეები: **გულიკო არსენიშვილი** და **ხატია ჩიქოვანი.** ყოველ წელიწადს აღსაზრდელები გულმოდგინედ ემზადებიან სხვადასხვა დღესასწაულის აღსანიშნავად, რაშიც დიდ დახმარებას უწევთ მათ მუსიკის პედაგოგი **თამარ ურუშაძე.**

სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კალიგრაფიის კონკურსი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, რომელთა საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა ეწყობა სკოლის სტენდზე, სახელწოდებით – **„ჩვენ ლამაზად ვწერთ“.** კონკურსის შედეგებს აფასებს სპეციალური ჟიური, რომელთა შემადგენლობაში არიან დაწყებითი კლასებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელები **რუსუდან მაქაცარია** და **ია ჩიხლაძე.**

ყველა წარმატებულნი ჯილდოვდებიან სპეციალური სიგელებითა და დიპლომებით.

მალე, **„მჭევრის“** ბიზნეს – სკოლა 25 წლის იუბილეს აღნიშნავს. საიუბილეო თარიღის სკოლის მესვეურები მაღალი შედეგებით შეხვდებიან.

**ნათია გუგუნავა**

ესთეტიკური აღზრდის კერა ზაჰესში

# აქედან ახალი ზურაბ ანჯაფარიძეები „აფრინდებიან“



**დაბა** ზაჰესში, გასულ საუკუნეში, განათლების სამინისტროს ბაზაზე, სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდია გაიხსნა. დღეს მას წარმატებით ხელმძღვანელობს ღირსების ორდენოსანი, განათლებით ფილოლოგი და მუსიკოსი **მარინე არაგვიშვილი.** 52 წელია იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, რომელიც 41-ე საშუალო სკოლასთან არსებულ მუსიკალურ სტუდიაში დაიწყო. ბევრი წარმატებული მოსწავლე ჰყავდა, სარაიონო თუ საქალაქო კონკურსებში გამარჯვებულები, თანაც, ახალგაზრდობიდანვე საოცარი ენთუზიაზმითა და საქმის სიყვარულით გამოირჩეოდა და მალევე, სტუდიის გამგედ გადაიყვანეს. ხელოვნების ამ სკოლის (ათწლედის) დაარსებაში კი, რომელსაც 40 წელია სათავეში უდგას, მისი წვლილი უდიდესია. ზაჰესის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქალბატონი მარინეს ძალისხმევით, მუსიკალური სტუდიის ბაზაზე გაიხსნა მუსიკალური სკოლა (სახელმწიფო ბიუჯეტზე), რომელსაც დაარსებიდან 25 წლისთავზე **ზურაბ ანჯაფარიძის** სახელი მიენიჭა. როდესაც დაბა ზაჰესი თბილისს მიუერთდა, სკოლას მე-5 სამუსიკო სკოლის წოდება მიენიჭა, ხოლო 2008 წელს ზ. ანჯაფარიძის სახელობის ზაჰესის მე-5 ხელოვნების სკოლა დაფუძნდა. იყო სირთულეები. ის დროც ახსოვთ, როცა პატარები გაუთბობელ ოთახებში, გაყინული თითებით უკრავდნენ ფორტეპიანოზე. დღეს მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა. ჩატარდა კაპიტალური რემონტი, შეკეთდა სველი წერტილები, გაიყვანეს გათბობა, მერია იხდის კომუნალურ გადასახადებს და ამჟამად, ლამაზად გაფორმებული საკონცერტო და სამეჯლისო დარბაზები, სამხატვრო ოთახი. და საფორტეპიანო კლასები აქვთ. გაიხსნა ახალი განყოფილებები: **საესტრადო, საფორტეპიანო, ქორეოგრაფიული, ხალხური საკრავები, სამეჯლისო-სპორტული ცეკვა, სახვითი ხელოვნება.** მოსწავლეთა კონტინგენტიც საგრძნობლად გაიზარდა. უკვე 300-მდე ბავშვი ეუფლება ხელოვნების სხვადასხვა დარგს, რომელთაგან წარჩინებულებსა და გამორჩეულებს, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ 206 მოსწავლეს, ქალაქის მერია აფინანსებს, რისთვისაც სკოლის დირექცია, ასევე მშობლები მათი მადლიერები არიან.

ხელოვნების სკოლა თანამშრომლობს **„საქართველოს კარიტასთან,“** სადაც ბავშვთა პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, ფუნქციონირებს დღის ცენტრი. სკოლის პედაგოგები – **ნინო ბურდიაშვილი, მაია ბეჟანიშვილი, თამარ გუგუშვილი, მარინე გაბაშვილი, ლალი ბეჟანიშვილი** და **მარინე არაგვიშვილი** – ადგილზე გამოყოფილ სამეცადინო ოთახებში მიდიან და საესტრადო სიმღერის გაკვეთილებს უტარებენ იმ 68 ბენეფიციარს, რომლებიც ხელოვნების სკოლაში ირიცხებიან.

წლების მანძილზე **მარინე არაგვიშვილმა** საუკეთესო პედაგოგები მოიზიდა. ბევრი მათგანი თითქმის 40 წელია მასთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობს. მათ არც ახალგაზრდა თაობა ჩამორჩება. ესენი არიან: **ლალი ბეჟანიშვილი** (ფორტეპიანო, საესტრადო), **თამარ არაგვიშვილი** (თეორია), **ნინო ბურდიაშვილი** (ფორტეპიანო, საესტრადო), **მაია ბეჟანიშვილი** (საესტრადო), **მარიამ გორდულაძე** (ფორტეპიანო), **იზა გამყრელიძე** (ფორტეპიანო), **ლუბოვ გოკიელი** (ფორტეპიანო), **ეთერ ტომარაძე** (ფორტეპიანო), **გალინა მამაი** (ფორტეპიანო, თეორია), **მარინე გაბაშვილი** (საესტრადო), **თამარ გუგუშვილი** (საესტრადო), **მარინე ამირეჯიბი** (ქორეოგრაფია), **ზაზა ბრეგვაძე** (ქორეოგრაფია), **ინგა ფრანგულაშვილი** (სახვითი ხელოვნება), **მარინე გოცირიძე** (ფორტეპიანო), **სალომე სიხარულიძე** (სპორტული, სამეჯლისო ცეკვები), **სალომე ბუაძე** (ხალხური), **გიორგი ალიმბარაშვილი** (ქორეოგრაფია), **თამაზ ალიმბარაშვილი** (ხალხური), **ქეთევან კვირკველია** (ხალხური). თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან – **მედეა ყარსიმაშვილი** (საქმეთა მმართველი) და **მარიკა ჩხაიძე** (ბუღალტერი).







ერთ-ერთი პირველი, ვინც დირექტორს მხარში უდგას (40 წელი) დირექტორის მოადგილე **ლალი ბეჟანიშვილია.** იგი განათლებით მუსიკა-სიმღერის ჩინებული სპეციალისტია, მუსიკოსების ოჯახში აღზრდილი და დღემდე ამაყობს, ამაყობს, რომ მისი კათედრის გამგე დიდი ქართველი კომპოზიტორი **რევაზ ლაღიძე** იყო.

ზაჰესის ხელოვნების სკოლა აქტიურად თანამშრომლობს კამილიელების ინვალიდთა დღის ცენტრთან. წელიწადში 2-ჯერ, სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, ატარებენ საქველმოქმედო კონცერტებს. ყოველწლიურად, საქართველოს მასშტაბით, ყველა ფილიალიდან ჩამოდიან ბენეფიციარები და ტარდება ფესტივალი, სადაც წარმოდგენილია ინტეგრირებული ნომრებიც. მოსწავლეები მონაწილეობდნენ რომის პაპის ვიზიტთან დაკავშირებულ ღონისძიებაში.



სპორტულ-სამეჯლისო განყოფილებაში (პედაგოგი **ნანა სიხარულიძე**) ფუნქციონირებს 2 ჯგუფი (დიდების და პატარების), რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქალაქო თუ საერთაშორისო ღონისძიებებში და არიან სხვადასხვა სიგელის, დიპლომისა და გრან-პრის მფლობელები;

საუცხოოდ მოწყობილ კლასკაბინეტში ფუნქციონირებს სახვითი ხელოვნების განყოფილება (პედაგოგი **ინგა ფრანგულაშვილი**), სადაც მოსწავლეები: **ელენე კაბერაშვილი, მარიამ ჩალაური, დავით ბაზაევი, მარიამ წაქაძე, მარიამ ტყემალაძე, კონსტანტინე წითელაშვილი, რუსუდან ავსაჯანიშვილი, ვიქტორია მაღლაფერიძე, ლუკა შეშაბერიძე** და სხვები თავიანთი ნამუშევრებით, აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო და საქალაქო გამოფენებზე;



მეტად პოპულარულია სკოლის ხალხური საკრავების ანსამბლი **„ლილე“** (ხელმძღვანელი **ქეთი კვირკველია**). იგი უკვე მესამე წელია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტში „Brave Kids“ – **„მამაცი ბავშვები“,** რომლის მიზანია მსოფლიოს ბავშვები ერთ მეგობრულ სივრცეში შეკრიბოს. ფესტივალი პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში ტარდება, სადაც 25 ქვეყანა მონაწილეობს. 21 დღის განმავლობაში ბავშვები ეცნობიან ერთმანეთის კულტურასა და შემოქმედებას, სწავლობენ სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებსაც დასკვნით კონცერტზე ერთად ასრულებენ. მაგალითად, ინდოელები ასრულებენ ქართულს და პირიქით. ანსამბლის შემადგენლობიდან წელს ფესტივალზე მონაწილეობდნენ: **ლუკა მიქაბერიძე, ქეთევან მიქაბერიძე, ნანუკა მწითური, ვახტანგ ჯღარკავა, გვანცა ძმანაშვილი, ნუცა ძმანაშვილი;**



საესტრადო განყოფილებაზე 100-ზე მეტი მოსწავლეა რეგისტრირებული. მათ რეპერტუარში არის როგორც ქართველ, ისე უცხოელ კომპოზიტორთა სიმღერები. სასკოლო თუ სადღესასწაულო ღონისძიებებზე გამოირჩევიან ნიჭიერი პედაგოგების – **ლალი ბეჟანიშვილის, ნინო ბურდიაშვილის, მაია ბეჟანიშვილის, თამარ გუგუშვილისა** და **მარინე გაბაშვილის** მოსწავლეები: **გვანცა ლაბაძე, ლუკა ლაბაძე, ლიზი მანძულაშვილი, სალომე მწარიაშვილი, მარიამ ქოჩლაძე, ლიზი სამხარაძე, მარიამ კონწლიაშვილი, გიორგი კონწლიაშვილი** და სხვები;

საფორტეპიანო განყოფილებაზე 24 მოსწავლე ეუფლება ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, რომელთაგან 8 — მაღალი აკადემიური მოსწრებისაა: **ნია ჯანგავაძე** (პედაგოგი **ლალი ბეჟანიშვილი**), **ნინი ბურდიაშვილი** (პედაგოგი **ნინო ბურდიაშვილი**), **ელენე ებანოიძე** (პედაგოგი **მარიამ გორდულაძე**), **ანა-მარია ჯიქიძე** (პედაგოგი **იზა გამყრელიძე**), **მარიამ ჩალაური** და **გიორგი თავაძე** (პედაგოგი **ეთერ ტომარაძე**), **ნიკოლოზ ვარამაშვილი, ალექსანდრე ბორისოვი** (პედაგოგი **ლუბოვ გოკიელი**). მათ მერია აფინანსებს.

ქორეოგრაფიულ განყოფილებაში 75 მოსწავლეა. წარმატებით მოღვაწეობენ ანსამბლი **„ივერიელი“** (სამხატვრო ხელმძღვანელი **გიორგი ალიმბარაშვილი**), ანსამბლი **„არმაზი“** (სამხატვრო ხელმძღვანელი **ზაზა ბრეგვაძე**) და პედაგოგი **მარინე ამირეჯიბი,** მრავალი დიპლომის, სიგელისა და გრან-პრის მფლობელები.

სასწავლო-შემოქმედებით პროცესში განსაკუთრებული მონაცემების მქონე მოსწავლეების აღზრდისა და განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის **მარინე არაგვიშვილის** შრომის შედეგებზე ის წერილები და სერთიფიკატები მოწმობს, რომლებიც ასე უხვად მოიპოვება მის სამუშაო კაბინეტში. შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის კი ქალბატონი მარინე კამილიელთა სამედიცინო ცენტრის დირექტორმა პავლე პეტრე დილმა დააჯილდოვა. იგივე ცენტრი აჯილდოვებს აგრეთვე, ამ სკოლის პედაგოგებს – **მარიკა გაბაშვილსა** და **თამარ გუგუშვილს** – რომის პაპის შესახვედრად გამართულ ღონისძიებაში გაწეული შრომისა და თანადგომისათვის.

**წარმატებები ვუსურვოთ ხელოვნებაზე შეყვარებულ, ამაგდარ ადამიანებს ჩვენი მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.**

**ნათია გურგენიძე**

ფილმი ტაო-კლარჯეთზე, ფილმი ტაო-კლარჯეთზე

# სამშობლოს გარეთ დარჩენილი „ბებერი ტაო“

**ტაო-კლარჯეთში** მოგზაურობამ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა **„თუ რაოდენ დიდი ყოფილა საქართველო“.** ეს არის უზარმაზარი ტერიტორია, საოცარი ბუნებით, ლამაზი პეიზაჟებით და ცამდე აზიდული მთებით. აქ ყოფნისას ისეთი განცდა გვქონდა, თითქოს ჩემს მშობლიურ საქართველოში ვიმყოფებოდით და ეს არც არის გასაკვირი. აქ თითოეულ მცენარეს, ხეს, ბუჩქს, ბალახს, ყველაფერს ქართული სურნელი ასდის...



ჩვენს მოგზაურობას კიდევ უფრო მეტი ელფერი შესძინა საოცარმა ჯგუფმა, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ეროვნულ საკრავზე შესრულებული ქართული ჰანგების ფონზე კი, ჩვენი ექსკურსია ორმაგად შთამბეჭდავი იყო. მადლობას ვუხდი პოეტს და რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს – **დავით შემოქმედელს** ჩვენი მოგზაურობის ორგანიზებისთვის, ასევე, ჩვენს გიდს **ნიკა ცხომელიძეს** საინტერესო და შინაარსიანი ტურისთვის.

– „ტაო – შემაძრწუნებელი ბედნიერება“ – ასე ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც რეჟისორმა **მარინა კოლხიდაშვილმა** გადაიღო და რომლის საპრემიერო ჩვენება „კინოს სახლში“, რამდენიმე თვის წინათ გაიმართა.

დოკუმენტური ფილმი მომზადდა სრულიად საქართველოს რუსთაველი საზოგადოების დაკვეთით, რომლის რეჟისორი, ოპერატორი, მონტაჟის ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი გახლავთ **მარინა კოლხიდაშვილი,** ხოლო პროდიუსერი და სცენარის ავტორი – პოეტი **დავით შემოქმედელი.** ფილმი, ასევე წარდგენილი იყო მართლმადიდებლური ფილმების მე-13 საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოვდა მედლით – **„წმინდა ანდრიას ჯვარი“.**

მოგზაურობას, ჩვენს წინაპართა ნაკვალევზე თან ახლდა – დიდი ემოცია, გულისტკივილი და სიამაყის განცდა, ეს მართლაც „შემაძრწუნებელი ბედნიერება“ იყო. ფილმში, ძირითადად, ასახულია ტაო-კლარჯეთის კადრები, ასევე, დელეგაციის მონაწილეების მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ემოციები.

**მზია გოგოძე**

ლიტერატურული გვერდი

# პოეტები „ათინათიდან“ გვიღიმიან

**„თბილისობის“** ზეიმს დაემთხვა ჟანრობრივ-ესთეტიკურად შემოდგომასავით ბარაქიანი ჟურნალ **„ათინათის“** მე-3 ნომრის გამოსვლა. იქიდან გთავაზობთ ოთხი პოპულარული პოეტის ორ-ორ ლექსს.



**გულნაზ ხარაიშვილი**

## ცაში გაშლილი ნინოს ხელი

**თქვენ** მოკრძალებით გაგაფრთხილეთ,
მშვიდად, წყრომითაც...
პატივი ეცით წმინდა ნინოს ხატის მშვენებას.
მოძლიერდებით რწმენითა და მერე შრომითაც
და მოგნათლავენ ჩვენი ქვეყნის აღმაშენებლად.
ხატი დაგიცავთ, წმინდა ნინოს მადლი გეწევათ.
ცაში გაშლილი ცისარტყელა ნინოს ხელია,
რწმენით აღვსილებს ღვთის აკვანი გადაერწევათ,
რწმენის გარეშე თვით სიცოცხლეც არაფერია.

## ფუტკარო

**ყველა** ფრთოსნებში გამოგარჩევდი,
ფუტკარო, შენი სარჩო-საგზალით,
სიტკბო რომ იყოს დედამიწაზე
თაფლს შენგან ქმნილსა ყველგან დავგზავნი.
შენი მტვერიც ხომ სამკურნალოა,
ნექტარს აგროვებ ყველა ყვავილით.
სკა, შენი სახლი, თაფლის კალოა,
შრომობ შენ, უქმად არსად გაივლი.



**მანანა ზაზიკაშვილი**

## თბილისს უხდები

(თემურ ჩალაბაშვილს)

**თბილისს** უხდები, „ვარანცოვს“ ხატავ,
შენი კახეთი დაგყვება ხატად.
შენს ლექსებს ბევრი გულით ატარებს.
უყვარხარ ყველას, დიდებს, პატარებს.
შენი წიგნები საძებარია,
სულ მოვიარე მთა და ბარია!
იხარე მარად, თემურ ბატონო,
ოქროს გულის და სიტყვის პატრონო!

## მიყვარხარ ჩემო ქვეყანა

**ყველგან** ლამაზი მხარე გვაქვს,
აჭარაა თუ ლაზეთი.
მიყვარხარ, ჩემო ქვეყანავ,
როგორიცა ხარ, ასეთი.
ორბების საბუდრებით და
დაუზოგავად ნასეტყვი.
ჩემს შვილთაშვილებს მერმისში
ნეტავი, ჩემზე რას ეტყვი?!

## დაგჭირდებათ ილეთი

**თქვენ** გინახავთ ცხრა ძმის ქუჩა,
იქვე სამურზაყანო?
თუ წვიმაში მოხვდით აქა,
ფარ-ხმალი არ დაყაროთ!
თან ატარეთ წვიმის ჩექმა,
დაგჭირდებათ ილეთი.
მთელი ქუჩა წყალს მიაქვს და
ტოპავს ხალხი მილეთი.



**ლეილა ვადაჭკორია**

## დავისაჯე

**შენი** ტკივილი გამანდე,
იქნებ როგორმე გიწამლო.
მითხარი, რა გავაკეთო,
რა ვქნა, რომ ისევ მიწამო.
ნუთუ ისე ვარ წაშლილი,
ვერ წამიკითხავ თავიდან?
მე დავისაჯე უშენოდ
ვერ მოვისვენებ წამითაც.

## რწმენითა ურყევითა

დრო უსასრულო მაინც გაილია
მტერს ვერ წაუშლია კვალი.
რწმენით ურყევითა და მოთმინებითა
ცამდე აღმართულა ჯვარი.
განგებამ ინება – ახლა შენთანა ვართ,
უნდა მოვიხადოთ ვალი,
ტკივილი დაგიამოთ, ოშკო წამებულო,
უნდა შეგიმშრალოთ ცრემლი.
შენი სამრეკლოდან ისევ რეკოს ზარმა,
ისევ გეხვეოდეს მრევლი.



**ნაირა ნიჟარაძე**

## თბილისობაზე

**დღე** იყო თბილი, მეტად მზიანი,
ვიდექით ერთად ღვინის ფიალით.
ჩვენი სიმღერა იყო ხმიანი,
ვადღეგრძელებდით ერთურთს სიამით.
ერთი სურვილი გვქონდა ქართველებს:
მრავალი სიტყვა დავაფრთიანეთ,
ყოველი დილა მსგავსად გათენდეს
და საქართველო გაერთიანდეს!

## ნათდება

**ნათდება** დილა მზიანი,
დალალებსხივოსნიანი.
სხვისი სამშობლო რად მინდა,
ჩემი მაქვს ტყიან-მთიანი.
ნარგიზი, იასამანი,
ყვავილი შემამკობელი,
აქა დგას ჩემი სახლ-კარი,
აქა მყავს დედა მშობელი.

## რა გვტკივა დღეს?

### თავს ნუ იღუპავთ, ქართველნო!

**თავს** ნუ იმცირებთ, ქართველნო,
მოეშვით მუდამ სხვის ბაძვას,
ხელს ნუ კრავთ თქვენსა ღირსებას
და მამა-პაპურ თვისებას.
მისმინეთ, მოსე მწერალსა,
ჩემს რჩევა-თხოვნას გაგაცნობთ
თქვენ, ვინც ქალივით გრძელი თმით
და მღვდლის წვერებით მამაცობთ.
მოდებს, ჯინსების გამობდღვნას
მთლად მიაქვს ზოგის ქონება,
წიგნს არ კითხულობთ, არცა წერთ,
და დაგიჩლუნგდათ გონება.
ოჯახის შექმნა არ გინდათ,
არც ტურფა მარი თუ ანა
უქმად ყიალი გიტაცებთ,
აბოლებთ მარიხუანას.
„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე“
სინდის-ნამუსი, დედა, სამშობლო,
სულ დოლარებზე თუ გადაცვალე?

### მოდა – მისი ბედისწერა

**გუშინ** ინგამ იყიდა
ჯინსი ახალთახალი,
მით მოხიბლა დაქალები
და დედიკოს მზახალი.
დღეს სულ გამოიგლიჯა
მუხლთან კოხტა შარვალი,
მოდას გადაყოლითა
ინგას უჩანს ბარკალი.
კიდევ ზევით მიიწევს და
ჭიპს მიადგეს ლამისო,
მეტი არა! აკრძალული
იქ საზღვარი არისო.

### დასავლეთუმეს სიმღერა

**დოლარისა** ეშხითა ღამე არ მძინებია
სიზმრად ვხედავ დოლარებს,
დოლარების მთებია,
დოლარს ვიხვეჭ, ლარს არა,
დოლარს ვკოცნი, რუბლს არა.
ახ, დოლარი, დოლარიიი!
ჩემი ნატვრა დოლარი,
ყველგან ოქროს მთოვარი
ახ, დოლარი, დოლარიიი...

**მოსე მწერალი**

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N14 (4573)
21 ნოემბერი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113